ინდოეთის სახელმწიფოსა და სამართლებრივ სისტემათა ფორმირება

სანდრო-გიორგი სარუხანიშვილი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
დოქტორანტი

https://orcid.org/0000-0001-5753-1898

მარიამ გორგოძე

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
დოქტორანტი

https://orcid.org/0009-0006-6674-2172

I. შესავალი

ძველი ინდოეთის სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემის განვითარება კომპლექსური სოციალური სტრუქტურებითა და სამართლებრივი ტრადიციების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.[1] სამართლებრივი პლურალიზმი კიდევ უფრო გააღრმავდა შუა საუკუნეებში, მუსლიმური დაპყრობების შედეგად.[2] ინდური სამართალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურ, ფილოსოფიურ და ეთიკურ პრინციპებთან და ღვთიური წესრიგისა და ნების გამოხატულებად მიიჩნეოდა.[3] სამართლის ძირითადი წყარო რელიგიური ხასიათის ტექსტები იყო – ვედური ლიტერატურა, დჰარმასუტრები

[1] იხ., The Laws of Manu, 1886, 24; Donald, 2010, 17.
[2] იხ., Farooqui, 2011, XVIII; Rocher, 1993, 254.
[3] იხ., გარიშვილი, 2010, 13-15.

და დჰარმაშასტრები.[4] ამ ტექსტებით განისაზღვრებოდა არა მხოლოდ რელიგიურ-ეთიკური, არამედ ადამიანთა ცხოვრების ყოფითი საკითხები.[5] იმავდროულად, იქმნებოდა საერო ჟანრის ლიტერატურაც – ართჰაშასტრები, სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის ხელოვნების შესახებ ტრაქტატები.[6]

ძველინდური სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ვარნულ-კასტური სისტემის ლეგიტიმაცია იყო.[7] საზოგადოების დაყოფა ოთხ ვარნად (ბრაჰმანები, ქშატრიები, ვაიშიები და შუდრები)[8] აყალიბებდა არა მხოლოდ სოციალურ სტრუქტურასა და ურთიერთობებს, არამედ განაპირობებდა მათ განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობას, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობის ზომებსა და ფორმებს და სხვა სამართლებრივ კატეგორიებს.[9] ვარნული სისტემა გარკვეული ფორმით დღემდე ახდენს გავლენას ინდოეთის სოციალურ სტრუქტურასა და სამართლებრივ ტრადიციაზე.[10]

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს ძველი ინდური სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითად თავისებურებებს, სოციალურ სტრუქტურას, სახელმწიფო მმართველობის ფორმებს. განხილულია ვარნულ-კასტური სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, მისი გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სამართლის ფორმირებაზე. ასევე დახასიათებულია ინდური სამართლის წყაროები და მათი ძირითადი პრინციპები. სტატია მოიცავს ინფორმაციას იმ სოციალური, რელიგიური და ფილოსოფიური სა-

[4] A Dharma Reader: A Classical Indian Law, 2016, 13.
[5] Parmar, 2001, 234.
[6] ხოფერია, 2012, 3.
[7] Blunt, 2010, 1.
[8] West, 2009, 294.
[9] იხ., Davis, 2022, 26; Anand, 2020, 31; Deshpande, 2010.
[10] Ramesh, 2020, 706.

ფუძვლების შესახებ, რომლებმაც ჩამოაყალიბა და განსაზღვრა ინდური სამართლებრივი ტრადიცია.

II. ძველინდური სოციალური და პოლიტიკური წყობის ზოგადი დახასიათება

1. ძველი ინდოეთის საზოგადოებრივი მოწყობა

ინდოეთში უძველესი განვითარებული კულტურა ქრისტეს შობამდე 2500 წლით[11] ადრე არსებობდა.[12] აღნიშნულ კულტურას მოიხსენებენ სინდჰუს (ინდის დაბლობი) ხეობის ცივილიზაციად, რომლის ნაშთები უძველეს ქალაქებში – მოჰენჯო-დაროსა და ჰარაპაში – აღმოაჩინეს არქეოლოგებმა.[13] თუმცა სინდჰუს ხეობის ცივილიზაცია ამ ორი ქალაქით არ შემოიფარგლებოდა.[14] ინდური ცივილიზაცია ისეთივე ძველია, როგორც შუამდინარეთისა და ძველი ეგვიპტის ცივილიზაციები და არსებობდა იქ არიელთა პირველ შემოსვლამდე.[15] არიელ მოსახლეობას კი ინდოევროპულ ენაზე მოსაუბრე ხალხი შეადგენდა. ისინი ოთხ ვარნად იყვნენ დაყოფილნი. ვარნებს შორის უზარმაზარი კედელი იყო აღმართული, რომელიც ქორწინებასა თუ საქმიანობის შეცვლას კრძალავდა (თუ პირი მეომართა ვარნას მიეკუთვნებოდა, შთამომავალიც მეომარი იქნებოდა, გლეხის ვარნის წევრი მუდამ გლეხად დარჩებოდა და ა.შ.).[16]

[11] მკვლევრები ვერ თანხმდებიან თარიღებზე, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ქრ.შ-მდე 5000 წლით ადრე სინდჰუს ხეობაში შემოვიდა ხმელთაშუაზღვისპირული რასა, დრავიდები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ინდის დაბლობის ცივილიზაცია. ეს რასა სინდჰუს ხეობაში არიელების, ჰინდუ კუშუს მთებიდან, ავღანეთიდან ქრ.შ-მდე 2000 წლით ადრე შემოსულ რასამდე არსებობდა. იხ., Majumdar, 2018, 28-31.

[12] გომბრიხი, 2022, 86.

[13] Majumdar, 2018, 20.

[14] იქვე, 26-27.

[15] უპანიშადები, 2021, 5-7.

[16] გომბრიხი, 2022, 87-88.

სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლამ და ურბანიზაციის პროცესმა ქრ.შ-მდე 800-600 წლით ადრე ჩამოაყალიბა კასტური და კლასობრივი დაყოფა, რომელიც ადრეული ოჯახის სტრუქტურას ეფუძნებოდა.[17] ვარნა და კასტა ადამიანთა ერთობაა, დაჯგუფება, რადაც ინდური საზოგადოება იყოფოდა.[18] ოთხ ვარნად დაყოფა ღმერთებს მიეწერებოდათ, ხოლო რტა/რიტა (მსოფლიო კანონი) განსაზღვრავდა ვარნის როლსა და მისი წევრების უფლება-მოვალეობებს.[19] ვარნებისა და კასტების ჩამოყალიბება აიხსნება პოლიტიკური, ტრადიციული, ეკონომიკური და საქმიანობა-პროფესიის, ეთიკური, ეთნიკური და მანუს თვალთახედვიდან.[20] ამ მიდგომების მიხედვით, კასტური სისტემის შექმნასთან დაკავშირებით რამდენიმე განზოგადებული მოსაზრება არსებობს, კერძოდ, არიული რასის შენარჩუნების მიზანი (როდესაც არიელებმა თანამედროვე ინდოეთის ტერიტორიაზე დასახლება დაიწყეს), ხელობისა თუ საქმიანობის საიდუმლოებათა დაცვის აუცილებლობა, გეოგრაფიული განსხვავებების შედეგად ჩამოყალიბება და სხვ., თუმცა განზოგადებულად შეიძლება ითქვას, რომ კასტური სისტემა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, გეოგრაფიული და რელიგიური ფაქტორების გავლენით ყალიბდებოდა.[21]

ვარნული სისტემის ჩამოყალიბებამდე ვედური საზოგადოება კულტურისა და რასის მიხედვით[22] არიელებად და მათ მოწინააღმდეგე დასიუსებას (დასებად) იყოფოდა.[23] მოგვიანებით დასიუსები არიელებმა დაიპყრეს და თავიანთ ხელქვეითებად

[17] Chakravarti, 1993, 581.

[18] Blunt, 2010, 1.

[19] გარიშვილი, 2010, 16.

[20] Sharma, 2004, 61.

[21] იქვე, 63-64.

[22] განსხვავებული მოსაზრების თანახმად, დაყოფის საფუძველი იდეოლოგიური იყო და რასას ნაკლებად უკავშირდებოდა. იხ., Brereton, 2020, 36-37.

[23] იხ., Sen-Gupta, 1953, 27.

აქციეს.[24] თანდათან ინდური საზოგადოება გაერთიანდა ოთხ იერარქიულ ვარნად, ვარნების მიხედვით კი განირჩეოდა ხელმისაწვდომობა სიმდიდრეზე, ძალაუფლებასა და პრივილეგიებზე.[25] გამოიყოფოდა ოთხი ვარნა – ბრაჰმანები, ქშატრიები, ვაიშიები და შუდრები, ამ სისტემისგან განცალკევებით არსებობდნენ „მოკვეთილნი", იგივე დალიტები.[26] ოთხი ვარნიდან ყველაზე დაწინაურებული ბრაჰმანები (ბრამანები) იყვნენ,[27] რომელთა მოვალეობაც ვედას მარტო, ეულად შესწავლა იყო, ასევე მსხვერპლშეწირვა საკუთარი და სხვების კეთილდღეობისთვის;[28] მიიჩნეოდა, რომ მათი პირით თვით ღმერთები მიირთმევდნენ შესაწირ საკვებს, ამიტომ ისინი ყველა სხვა არსებაზე აღმატებულად მოიაზრებოდნენ.

ბრაჰმანები ღვთისმსახურები იყვნენ.[29] ბრაჰმანული პატრიარქატის სოციალური წესრიგი ყალიბდებოდა კასტის, კლასისა და გენდერის ნიშნით დაყოფის შედეგად.[30] ქშატრია იყო მეომრებისა და მმართველების ვარნა, მათი ძირითადი მოვალეობები იყო ხალხის დაცვა, შესაწირის გაღება, ვედას შესწავლა.[31] ვაიშიები იყვნენ ვაჭრები, მიწათმოქმედები, პირველი ორი ვარნის მსგავსად, ისინიც შეისწავლიდნენ ვედას და გაიღებდნენ შესაწირს, ხოლო შუდრები – ხელოსნები, მუშები, მსახურები, რომლებიც დანარჩენ სამ ვარნას ემსახურებოდნენ.[32] პირველი სამი ვარნა დაწინაურებული იყო, შეეძლოთ ესწავლათ ვედებიდან და მონაწილეობა მიეღოთ რელი-

[24] Sharma, 2004, 14.
[25] Anand, 2020, 31, ასევე, იხ., Deshpande, 2010.
[26] West, 2009, 294.
[27] უპანიშადები, 2021, 9-10.
[28] The Laws of Manu, 1886, 24.
[29] Sharma, 2004, 15-16.
[30] Chakravarti, 1993, 580.
[31] The Laws of Manu, 1886, 24.
[32] იქვე; West, 2009, XIII.

გიურ რიტუალებში, შუდრები კი მსგავს პრივილეგიებს მოკლებულნი იყვნენ, ისინი მხოლოდ მსახურთა კლასს მიეკუთვნებოდნენ.[33]

მოგვიანებით ოთხი ვარნა დაიყო ქვეკატეგორიებად, რომელთაც კასტები ეწოდება; ეს ორი ტერმინი ხშირად ერთმანეთის ურთიერთშემნაცვლებელ ცნებებად გამოიყენება.[34] ვარნებთან ერთად მათი შუალედური კასტებიც განვითარდა.[35] კასტები, ანუ ჯატიები ჯგუფდებოდნენ ვარნებად, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთის გეოგრაფიული სიდიდიდან გამომდინარე, ზოგჯერ ჯატის ვარნის სახელიც ეწოდებოდა, მაგ., სოფლის მეურნეობის ჯატის სამხრეთ ინდოეთში ვარნის სტატუსი ჰქონდა, ჩრდილოეთში კი – ჯატის.[36] კასტურ სისტემას თანამედროვე ინდოეთის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზეც აქვს გავლენა.[37] ინდოეთში დღესაც არსებობს ურიცხვი კასტა, რომლის სისტემაც თავდაპირველ ოთხ ვარნას ეყრდნობა, თუმცა თანამედროვე ეპოქაში ამ დანაწევრებას, როგორც წესი, ისეთი მნიშვნელობა აღარ ენიჭება, როგორიც წარსულში ჰქონდა.[38]

2. სახელმწიფო მმართველობის ფორმები

ძველი ინდოეთის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია რელიგიური, ეპიკური სამართლებრივი და სხვ. წყაროები, რადგან ისტორიული ხასიათის ტექსტები არასდროს შექმნილა.[39] ამ წყაროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ქრ.შ.-მდე 2500-1500 წლით ადრე არიელების

[33] Aktor, 2018, 62.

[34] Singh, 1983, 731-732.

[35] Sharma, 2004, 14.

[36] West, 2009, 294-295.

[37] თანამედროვე ინდოეთში კასტური და ვარნული დაყოფის გადმონაშთების არსებობის მიუხედავად, კანონმდებლობა ებრძვის ამ პრაქტიკის შენარჩუნებას. ინდოეთის კონსტიტუცია ექსპლიციტურად მიუთითებს კასტის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვაზე. იხ., The Constitution of India, 1 May 2024, 15, [adopted 26 November 1949], art. 15 and art. 17; Ramesh, 2020, 706.

[38] Gupta, 1980, 249.

[39] ანდრონიკაშვილი, 1990, 339.

მიერ შექმნილი ვედური ლიტერატურაა.[40] ინდოეთს არ გააჩნია ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ფილოსოფიური სკოლა, თუმცა არსებობს არაერთი ხელნაწერი სახელმწიფო მმართველობის შესახებ, რომელთაგან პირველი ეკუთვნის მაურიების იმპერიის პირველ იმპერატორს, ჩანდრაგუპტა მაურიას,[41] რომელიც ინდოეთს ქრ.შ.-მდე 350-295 წლებში მართავდა.[42]

ინდოელი მოაზროვნეები მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო იყო შეუცვლელი ინსტიტუტი, რომელშიც საზოგადოება ორგანიზებულ არსებობასა და განვითარებას შეძლებდა.[43] ძველინდური სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ექვსი მთავარი ეტაპი გამოირჩევა: უადრესი იყო ტომობრივი სამხედრო დემოკრატია; მეორე ეტაპზე ტომობრივი პოლიტიკური მოწყობა ირღვეოდა უწყვეტი კონფლიქტების გამო, ამ პერიოდში ჩნდება საზოგადოების კლასობრივი მოწყობის ჩანასახი, რომელიც მესამე ეტაპზე მტკიცედ ყალიბდება; მესამე ეტაპი სახელმწიფოს სრული ფორმირების ეტაპია, ფართო ტერიტორიული მონარქიებისა და ასევე ჩრდილოეთში ტომობრივი ოლიგარქიების ჩამოყალიბებით; მეოთხე ეტაპზე იქმნება მაურიების იმპერია; მეხუთე ეტაპი გამოირჩევა დეცენტრალიზაციით, ხოლო უკანასკნელი პერიოდი წინარეფეოდალური პოლიტიკური მოწყობით ხასიათდება.[44]

ინდოეთში შესვლისა და გავრცელების შემდეგ არიელებმა შექმნეს ცივილიზაცია და ძველი ტომობრივი სისტემა თანდათან გაძლიერდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ძლიერ, ტერიტორიულ სახელმწიფოებს.[45] ამ სახელმწიფოებს ორის დაიწყო პირველობისთვის

[40] იქვე.
[41] Singh, Boyat, 2016, 222.
[42] Fisher M., 2018, 71.
[43] Altekar, 2001, 30.
[44] Singh, Boyat, 2016, 224.
[45] Majumdar, 2018, 66.

ბრძოლა.[46] თუმცა, ინდური ლიტერატურის ძეგლების მიხედვით, მაჰაბჰარატა და დიგჰანიკაია, რომელთაგან პირველი ინდუსების შექმნილია, ხოლო მეორე – ბუდისტების, არსებობს წარმოდგენა, რომ საზოგადოება ინდოეთში ხელისუფლების ჩამოყალიბებამდე შეიქმნა.[47] მაჰაბჰარატას მიხედვით, ხალხმა მიიღო ვირაჯასი მეფედ, ხოლო დიგჰანკაია ამბობს, რომ მაჰაჯანასამატამ მიიღო ხალხის თხოვნა, მეფე გამხდარიყო.[48]

ძველ ინდოეთში სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია იყო სოფლის მეურნეობაში დახმარება, ვაჭრობის განვითარება, შიმშილისა და ეპიდემიებისგან დაცვა, ლიტერატურისა და მეცნიერების ხელშეწყობა, ამ მიზნების შესრულებას სახელმწიფო ცდილობდა რელიგიური ინსტიტუტების, კასტური სისტემის, გილდიებისა და სასოფლო თემების გამოყენებით.[49] საზოგადოებაში ოჯახის უფროსისა და მამამთავრის მიმართ პატივისცემისა და მორჩილების გაბატონებული ადათ-წესი სოფლისა თუ ტომის თავის მიმართ მორჩილებაშიც გამოიხატებოდა.[50]

მეფის ხელისუფლება შეიქმნა კერძო საკუთრებისა და ოჯახის დაცვის მიზნით, სადამსჯელო ღონისძიებების გატარებისთვის როგორც ქურდების მიმართ, ასევე ცოლქმრული ღალატის შემთხვევაში.[51] მეფეს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება დაესაჯა დამნაშავე, ხოლო მისი სადამსჯელო გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო ბრძნული და სამართლიანი, რათა არ დარღვეულიყო ვარნებისა და ადამიანების სიმშვიდე.[52] მეფის მოვალეობად მიიჩნეოდა

[46] იქვე.
[47] Altekar, 1949, 13-14.
[48] იქვე, 14.
[49] Altekar, 1955, 35.
[50] Altekar, 2001, 35.
[51] Shastri, 1944, 147-148.
[52] The Laws of Manu, 1886, 219-221.

ცოლქმრული ღალატის შემთხვევაში მოღალატეთა დასჯა, თუმცა სასჯელის სიმკაცრე განისაზღვრებოდა ვარნისა და სქესის მიხედვით.[53] პატრიარქალური წესრიგი ქალების მიმართ უთანასწოროდ მკაცრს სასჯელებს აწესებდა.[54] მეფეთა მოვალეობები აღწერილია მანუს კანონებში, რომლებიც მეფის ღვთაებრივ წარმომავლობაზე საუბრობს და მას მითოლოგიურ საბურველში ახვევს.[55] ღმერთების მიერ მეფეთა შექმნის მითოლოგიზებულ მიზეზად ვარნული სისტემისა და წესრიგის დაცვა სახელდება.[56] მეფის მოვალეობა იყო სამეფოს დაცვა არა მხოლოდ გარეშე, არამედ საშინაო მტრებისგანაც, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ სიცოცხლეს, კერძო საკუთრებასა თუ ადათ-წესებს.[57] მეფის ხელისუფლება იზღუდებოდა, ის მარტო არ მართავდა, არამედ კარგად ორგანიზებულ საბჰასთან[58] ერთად.[59] მეფეს უფლება ჰქონდა, საკუთარი საქმეების განხორციელების მიზნით, დაენიშნა შვიდი ან რვა მინისტრი წარჩინებულთაგან, რომლებიც მანამდე მეფეთა მსახურები იყვნენ, გაწაფულნი იარაღის ტარებაში და გათვიცნობიერებულნი მეცნიერებაში.[60] ინდური წარმოდგენით, მეფის პიროვნება შერწყმული უნდა ყოფილიყო ხალხთან – მისი კმაყოფილება უნდა გამომდინარეობდეს ხალხის კმაყოფილებიდან და კეთილდღეობიდან, არა პირადი ინტერესებიდან.[61]

ინდოეთი მონარქიის გარდა მმართველობის სხვა ფორმებსაც იცნობდა, მათ შორის, დემოკრატიულს, არისტოკრატიულსა და

[53] იხ., იქვე, 315-312.

[54] იხ., იქვე; Chakravarti, 1993, 585.

[55] The Laws of Manu, 1886, 216-217.

[56] იქვე, 221.

[57] Singh, Boyat, 2016, 224.

[58] საბჰა (სანსკრიტსა და ჰინდიზე ყრილობას ნიშნავს) ინდუსების საზოგადოებაში თვითმმართველობის ორგანო, წარჩინებულთა და ხალხის წარმომადგენელთა კრება იყო. იხ., ხოფერია, 2012, 13.

[59] Freeman, 1959, 34.

[60] The Laws of Manu, 1886, 224.

[61] Muniapan, Dass, 2008, 417.

რესპუბლიკურს.[62] ზოგიერთ რესპუბლიკაში სამხედრო და ვაჭართა კლასი ინაწილებდა პოლიტიკურ ძალაუფლებას, თუმცა კასტური სისტემა აქაც შენარჩუნებული იყო.[63] ჩრდილოეთ ინდოეთში ქრ.შ.-დან მეოთხე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა წმინდად ინდუისტური იმპერია, რომელიც იზიარებდა მანუს კანონების სულისკვეთებას, კერძოდ, მეფის ერთგულებას ბრაჰმანების მიმართ.[64]

III. ძველი ინდოეთის სამართლის განვითარების ძირითადი ტენდენციები

1. ძველი ინდოეთის სამართლის წყაროები

ძველინდური სამართლებრივი და ფილოსოფიური მოძღვრების საფუძვლები ვედებში, უძველეს წმინდა წიგნებშია თავმოყრილი.[65] ვედური ჰიმნები ეფუძნებოდა ჩვეულებებსა და ღვთაებრივ შთაგონებას.[66] მათ მითოლოგიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა დაედო საფუძვლად; ძველინდური სამართლებრივი და ფილოსოფიური მოძღვრება მორალური, ეთიკური და პოლიტიკური პრინციპების კრებული იყო და მართლმსაჯულებისა და ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებს ეხებოდა.[67] უძველესი ლიტერატურული ძეგლებიდან გამოირჩევა მანუს კანონები, ისტორიული წყარო, რომელიც მორალური შეგონებებისგან შედგება და განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების წესს.[68] ასევე აღსანიშნავია რიგვედა, ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნების კრებული, რომელიც არიელების შემოსვლის შემდეგ უნდა შექმნილიყო და

[62] Altekar, 2001, 110.
[63] იქვე, 115.
[64] Olivelle, 2017, 26.
[65] გარიშვილი, 2010, 15.
[66] Freeman, 1959, 31.
[67] გარიშვილი, 2010, 13.
[68] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, 1990, 340.

არიელთა დაპყრობებსაც აღწერს.[69] თავის მხრივ, ვედებიდან, რომლებიც ქრ.შ.-მდე მე-2 ათასწლეულიდან პირველ ათასწლეულამდე პერიოდში შეიქმნა, წარმოიშვა დჰარმასუტრა, ვედური დამატებების ნაწილი,[70] იგი ეხებოდა ქცევის წესებს, სამართლებრივ საკითხებსა და სამეფო მოვალეობებს. ამ ტექსტების შექმნა იყო პასუხი საზოგადოების განვითარებაზე, რომელიც უფრო რთული და კომპლექსური ხდებოდა.[71]

დჰარმაშასტრა არის იმ ტექსტების ერთობლიობა, რომლებიც დჰარმას მეცნიერებას ეხებოდა.[72] დჰარმა, თავის მხრივ, აღნიშნავს მსოფლიო, უნივერსალურ სამართლებრივ, მორალურ და რელიგიურ წესს, რომლითაც იმართება ადამიანის ცხოვრების როგორც წმინდა, ასევე ყოფითი ასპექტები, დჰარმაში გამოიხატება ღმერთის ბრძანება ადამიანთა ყოფიერების შესახებ, რაც განსახიერებულია მორალურ კანონებში;[73] მის დანაწესებს თითოეული ადამიანი თავისი სოციალური სტატუსისა და როლის შესაბამისად უნდა მისდევდეს.[74] დჰარმა არ არის მხოლოდ რელიგიური ტერმინი, არამედ მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს, ის ქცევის კოდექსია: ასწავლის როგორც რელიგიურ, ასევე საერო საკითხებს.[75] მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „დჰარმა“ წარმოიშვა რელიგიური წიაღიდან, ის გამოიყენებოდა ეთიკური და იურიდიული მნიშვნელობითაც.[76]

დჰარმაშასტრას ისტორია სამ ისტორიულ პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდის ხელნაწერები არ მოიპოვება და მის შესახებ

[69] იქვე, 449.
[70] Olivelle, 1999, xxi-xxiii.
[71] Banerji, 1999, 4.
[72] A Dharma Reader: A Classical Indian Law, 2016, 13.
[73] Parmar, 2001, 234.
[74] იქვე, 235.
[75] Banerji, 1999, 1.
[76] იხ., ხოფერია, 2012, 6; Horsch, 2004, 435.

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სხვა წიგნებში არსებული ციტირებებით. პირველი პერიოდის ტექსტები ძირითადად ქრ.შ.-მდე არის დათარიღებული; მეორე პერიოდის ტექსტები მიეკუთვნება ქრ.შ.-დან პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარს (600-900 წწ.) და მოიცავს დჰარმაშასტრების, მათ შორის, მანუს კანონების შესახებ კომენტარებს; მესამე ისტორიული პერიოდი ადრეული მე-12 საუკუნიდან იწყება, როდესაც დაიწერა ნიბანდჰა და დჰარმა-ნიბანდა –კანონთა კრებულები, რომლებიც ენციკლოპედიური ხასიათისაა და მოიცავს დჰარმას შესახებ მეცნიერების საკითხებს.[77]

დჰარმაშასტრა დჰარმას სამ წყაროს ასახელებს: ვედას, ტრადიციასა და „კარგ ჩვეულებას".[78] „კარგი ჩვეულება" („აჩარა"), როგორც დჰარმას წყარო, გულისხმობს იმას, თუ როგორ ცხოვრობს „კეთილგონიერი ადამიანი" („სად-აჩარა" – კეთილთა ჩვეულება და „სისტა-აჩარა" – განათლებულთა ჩვეულება).[79] „აჩარა" არ არის ჩვეულება კლასიკური გაგებით, რომელიც ხანგრძლივი გამოყენებით დამკვიდრებული პრაქტიკაა, არამედ რელიგიური ცხოვრების წესი, რომელსაც იცავენ ღრმად განსწავლული და კეთილგონიერი ადამიანები.[80] თავის მხრივ, საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის წესები, ჩვეულებები, გამოიყენებოდა სამართლის, თუმცა არა დჰარმას წყაროდ.[81]

ძველი ინდური სამართლის კიდევ ერთ წყაროდ ართჰაშასტრა მიიჩნევა.[82] ართჰაშასტრა იყო საერო ჟანრის ლიტერატურა, სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის ხელოვნების შესახებ ტრაქტატი.[83] დღემდე მოღწეული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ერთ-ერთი

[77] A Dharma Reader: A Classical Indian Law, 2016, 14-15.
[78] Lingat, 1973, 6.
[79] იხ., იქვე, 14; გარიშვილი, ხოფერია, 2014, 111.
[80] Lingat, 1973, 14.
[81] იქვე.
[82] იხ., King, Governance, and Law in Ancient India: Kautilya›s Arthasastra, 2013, 1.
[83] ხოფერია, 2012, 3.

ასეთი ტექსტი კაუტილიას ართჰაშასტრაა.[84] ტრაქტატი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველი ეხება მეფისა და სამეფოს შიდა ადმინისტრაციულ საკითხებს, ხოლო მეორე – საგარეო ურთიერთობებს, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის პოლიტიკასა და ომს.[85] კაუტილიას ართჰაშასტრაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს თეორია გამოყოფს სამეფოს შვიდ ძირითად ელემენტს: მეფეს, მინისტრს, ქვეყანას, ციხეს, ხაზინას, ჯარსა და მოკავშირეებს (ტრაქტატის სტრუქტურაც სწორედ ამ დაყოფას ეფუძნება).[86] კაუტილიას ართჰაშასტრა მოიცავს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საკითხებს, მაგალითად, როგორიცაა: სესხი, დეპოზიტი, გირაო, იპოთეკა, ქონების ყიდვა-გაყიდვა, მემკვიდრეობა და სამკვიდრო ქონების გაყოფა, შრომითი ხელშეკრულებები, პარტნიორობა, ღირსების შელახვა და თავდასხმა, ქურდობა, ყაჩაღობა, სქესობრივი დანაშაული. მთლიანობაში, ტრაქტატი მართლმსაჯულების ყოვლისმომცველ სისტემას აყალიბებს.[87]

2. ანტიკური სამართალი მხატვრულ ლიტერატურაში და ვედები

ინდური ფილოსოფია ვედების საფუძველზე წარმოიშვა – რიგვედა, იაჯურვედა, სამავედა და ათარვავედა ასახავენ ადამიანის ცხოვრების წესებს, მის ურთიერთობას ღმერთებსა და მატერიალურ სამყაროსთან.[88] ვედური ტრადიციის საფუძველზე ჩამოყალიბდა ადამიანის ცხოვრების ოთხი უმთავრესი მიზანი (პურუშართა): დჰარმა (მორალური ვალდებულება, ღირებულება), ართა (კეთილდღეობა), კამა (სიამოვნება) და მოკშა (გათავისუფლება), რომელთა შორის სისტემური კავშირი არსებობს.[89]

[84] იხ., King, Governance, and Law in Ancient India: Kautilya›s Arthasastra, 2013, 1.
[85] იქვე, 5.
[86] იქვე, 10.
[87] Sihag, 2007, 359.
[88] Muniapan, Dass, 2008, 414-415.
[89] Davis, 2004, 2-3.

ვედური პერიოდი ინდოეთის სუბკონტინენტის ისტორიის ადრეული პერიოდია, რომელიც ქრ.შ.-ამდე 1500-500 წლების პერიოდს მოიცავს; ვედური პერიოდის მტკიცებულებები თავმოყრილია ტექსტობრივი, ვედური ლიტერატურის სახით, ამ ტექსტების შინაარსი კი მთლიანად რელიგიური ხასიათიასაა. აღნიშნულ პერიოდს ასევე შეიძლება ეწოდოს ვედური ინდუიზმის პერიოდი, რადგან ინდუიზმი და ვედური ინდუიზმი, როგორც რელიგია, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ძველი იუდაიზმი განსხვავდება შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ქრისტიანობისგან.[90] ვედები, „კარგ ჩვეულებასთან" ერთად, დჰარმას წყაროდ მიიჩნევა.[91] ვედები ღვთაებრივი სიტყვაა; თითოეული ვედას არაერთი რედაქცია არსებობდა, რომლებიც ეკუთვნოდა ინტერპრეტატორების კონკრეტულ სკოლას; ყოველი სკოლა ფლობდა საკუთარ ლიტურგიულ და წმინდა ტექსტებს (სამჰიტა), ასევე ცერემონიული პრაქტიკის ტრაქტატებს, რომლებსაც ბრაჰმანა (სახელმძღვანელო) ეწოდებოდა.[92]

დჰარმას საყოველთაო ბუნება უკავშირდება ვედურ ტერმინს – „რტა", რომელიც მიუთითებს დჰარმას კოსმოსურ პრინციპზე, მეტიც, ვედური ეთიკა დაფუძნებული იყო დჰარმაზე.[93] ინდუსებისთვის სამყარო ეყრდნობოდა კანონს – პლანეტებისა და მზის სისტემა, სინათლე და სიბნელე, ვარსკვლავები ემორჩილებოდნენ მარადიულ კანონს, უზენაესი არსება კი არ იყო ვალდებული კანონი აღესრულებინა, რადგან იგი თავად იყო კანონი.[94] ვედური ლიტერატურა ასევე ეხება კანონის მოქმედებას, ხელისუფლებასა და საზოგადოებას.[95]

[90] Jamson, Witzel, 2003, 65.
[91] იხ., Lingat 1973, 14; Lubin, 2010, 33.
[92] Lingat, 1973, 8.
[93] Sharma, 2004, 49.
[94] Sundaram, 1953, 70.
[95] King, 2003, 411.

რიგვედა ვედას ტექსტებს შორის ყველაზე ძველია, იგი კრებულია (სამჰიტა), რომელიც რიტუალების შესრულებისას გამოსაყენებელ ღვთაებათა სადიდებელ ჰიმნებს მოიცავს, ისინი დაწერილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა მგოსნის, ანდა მგოსანთა ოჯახის მიერ.[96] რიგვედას თანახმად, საზოგადოება დაყოფილია დინამიკურ და იერარქიულ ჯგუფებად, რომლის უმცირესი ნაწილი ოჯახია.[97] სამყაროს კოსმოსური წესრიგი კი იმართება ადამიანის ფიზიკური ურთიერთობით მორალურ კანონებთან და ნებისმიერი ცოდვა, კანონისგან გადახვევა, სავალალო შედეგს მოიტანს.[98] ათარვავედაში თავმოყრილია თეთრი და შავი მაგიისა და სამკურნალო შელოცვები, ასევე მოიცავს მნიშვნელოვან ჰიმნებსა და ინფორმაციას ქორწინებასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებული რიტუალების შესახებ.[99] სამავედა საგალობლების კრებულია, თითოეულ მელოდიაზე შეიძლება სხვადასხვა სტროფის შესრულება, ეს სტროფები კი თითქმის სრულად იმეორებს რიგვედას ტექსტს. იაჯურვედა კომპლექსურია, მოიცავს რა პარალელურ ტექსტებს, ძირითადად შედგება მანტრებისგან, რომლებიც ვედას ტიპის (ლექსად დაწერილი) ტექსტებია და პროზაული კომენტარებისგან, რომლებიც ბრაჰმანას ტიპის ტექსტებია. იაჯურვედა ორი სახისაა – თეთრი და შავი, შავი იაჯურვედა მოიცავს მანტრებსა და ბრაჰმანულ ტექსტებს ერთმანეთში შერეულად, მაშინ, როდესაც თეთრი იაჯურვედა მკაფიოდ გამოყოფს მანტრებს.[100] ინდუსიტური ტრადიციის თანახმად, ვედები იყო მარადიული სუნთქვა, ღმერთების შვილებმა დატოვეს ვედები, როგორც სიბრძნის სიტყვები, ხოლო ბრძენები და წმინდანები იყვნენ პირველები, რომლებმაც კანონი მისცეს კაცობრიობას

[96] Jamson, Witzel, 2003, 68.
[97] Sharma, 2004, 171.
[98] Muniapan, Dass, 2008, 414.
[99] Jamson, Witzel, 2003, 69.
[100] იქვე, 68-69.

და ბუნებითი სამართალი გაამდიდრეს მაგალითებით, იგავ-არაკებით, ეპიკური ნაწარმოებებით, ლოგიკით, თეორიებით, ლექსებითა და გამოხატვის სხვა მრავალი ფორმით, რომლებიც თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა.[101] ბუნებითი სამართლის ვედური მიდგომა, რომელიც წარმოდგენილია ბჰაგავატ-გიტაში, ეთიკისა და სამართალის კვლევის ნაყოფიერი საგანია, თუმცა ეს არ არის სამართლის შესახებ ტრაქტატი.[102] ვედური მიდგომა არ ადგენს კონკრეტულ სამართლებრივ სისტემას, თუმცა ადამიანის ფუნქციონირების მოდელის განსაზღვრით მიუთითებს საზოგადოების მიზანზე, კანონებსა და კანონთა დაცვის მეთოდებზე.[103]

მიიჩნევა, რომ ინდური მხატვრული ლიტერატურა, რამაიანა და უფრო მეტად მაჰაბჰარატა, დჰარმას წყაროებია,[104] მაჰაბჰარატამ და რამაიანამ, მანუს კანონებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა სახელმწიფოებრიობის, ომის წარმოებისა და ჰუმანური პრინციპების განვითარებაში.[105] მეცნიერთა ნაწილთა აზრით, რამაიანა (გარდა იმისა, რომ აღწერს რამას ბიოგრაფიას) იმ დროის სამართლებრივი ნაშრომიცაა.[106] მასში მოცემულია დჰარმაშასტრას პრინციპები, კერძოდ, ადამიანის სულიერი, ეთიკური და მორალური განვითარების შესახებ.[107] მაჰაბჰარატა მოიცავს სმრიტის იმ საკითხებს, რომლებიც აღწერილია დჰარმაშასტრას ყველა თავში.[108] მაჰაბჰარატაში გადმოცემულია მეფის აუცილებელი თვისებები და ვალდებულებები: მან ხალხის ინტერესი უნდა დააყენოს საკუთარ ინტერესებზე მაღლა,

[101]Sundaram, 1953, 72-73.

[102]King, 2003, 411.

[103]იქვე.

[104]Banerji, 1999, 7.

[105]Jaiswal H., Prehistoric Indian Literature and International Law: A Brief Analysis, იხ., <https://www.legalserviceindia.com/legal/article-7381-prehistoric-indian-literature-and-international-law-a-brief-analysis.html> [30.07.2025]

[106]Bibave, 2022, 4.

[107]Parmar, 2001, 235.

[108]Banerji, 1999, 8.

იყოს მიუკერძოებელი და ზრუნავდეს ქვეშევრდომებზე, როგორც საკუთარ შვილებზე.[109] მაჰაბჰარატას მიხედვით, აბსოლუტური მონარქია მმართველობის ერთადერთი ვედური თეორია იყო.[110] რამაიანაში აღმოჩენილია ისეთი სამართლებრივი ცნებები, როგორიცაა, პიროვნება, საკუთრება, მფლობელობა და ტიტულატურა,[111] დელიქტური სამართალი მისი თანმდევი პასუხისმგებლობის კონცეფციით, ქორწინება, მეურვეობა, მემკვიდრეობა, საკუთრებაში უკანონო შეღწევა, სისხლის სამართლის საკითხები, კერძოდ, ადამიანის გატაცება, შეთქმულება, თავდაცვა, ცილისწამება და სხვ.[112] რამაიანას მთავარი პერსონაჟი, რამა, დჰარმას განსახიერებაა, ის იყენებს საკუთარ ძალას და ემსახურება დჰარმას აღსრულებას.[113]

3. დჰარმასუტრა, დჰარმაშასტრა და მანუს კანონები

3.1. დჰარმასუტრა

ინდური სამართალი ყოველთვის არსებობდა სამართლებრივი სისტემის პლურალიზმის საზღვრებში,[114] რომლებიც ერთმანეთთან იკვეთებოდა და ერთმანეთს მრავალგვარად უკავშირდებოდა, მათ შორის გამოიყოფოდა სოციალური ნორმები, სახელმწიფო სამართალი და რელიგიური, ეთიკური და ბუნებითი სამართალი.[115] თითოეული დჰარმა კი ეყრდნობოდა ვედებს.[116]

ვედების სწავლებისთვის ინდოეთში შეადგინეს დჰარმასუტრა.[117] ტერმინი „დჰარმასუტრა“ – აფორიზმული ტექსტები დჰარ-

[109]Muniapan, Dass, 2008, 417.
[110]Freeman, 1959, 34.
[111]Bibave, 2022, 4.
[112]იქვე, 5.
[113]Parmar, 2001, 237.
[114]Donald, 2010, 17.
[115]Menski, 2010, 6.
[116]Lingat, 1973, 7.
[117]Sacred Books of the East, 1886, XI.

მაზე – ხშირად გამოიყენება ამ ჟანრის ადრეული ტრაქტატების აღსანიშნად.[118] დჰარმასუტრა არის ნაშრომები დჰარმის შესახებ, რომლებიც დაწერილია სუტრას ფორმით.[119] მას სამაიაკარიკა-სუტრას ან სმარტა-სუტრასაც უწოდებენ და იყოფა ორ, მთავარ და მცირე კლასებად. მთავარი კლასის დარმასუტრა მოიცავს გაუტამას, ბაუდჰაიანას, აპასტამბას, ვასიშთას, ვიშნუს და ვაიკჰანასას ტექსტებს, მცირე კლასი კი – სხვადასხვა სახის კომენტარსა და ციტირებებს სმრიტი-სასტრას შესახებ, რომელთა ნაწილიც ხელნაწერის სახით არსებობს.[120] დჰარმასუტრები ატარებენ მათი ავტორების სახელებს, კერძოდ, აპასტამბა, ბაუდჰაიანა, გაუტამა, ვასიშთა, თუმცა უცნობია ისინი ისტორიული ავტორები იყვნენ, თუ ტექსტები მხოლოდ მათ სახელთან დაკავშირებულ ტრადიციას მიეწერება.[121] აპასტამბას დაწერის თარიღად ქრ.შ.-მდე 600-300 წელი ივარაუდება; აპასტამბა სავარაუდოდ მიეკუთვნება სამხრეთ ინდოეთს. ბაუდჰაიანას დაწერის თარიღად ქრისტეს შობამდე 500-200 წლების პერიოდი მიიჩნევა,[122] ეს უკანაკსნელიც სავარაუდოდ სამხრეთ ინდოეთის ბრაჰმანების სკოლას მიეკუთვნებოდა, ნაშრომი ეხება შერეულ კასტებს დაკშინაპატთაში.[123] გაუტამას დაწერის თარიღად ივარაუდება ქრ.შ.-მდე 500-200 წლების პერიოდი, რადგან ის მოხსენიებულია ბაუდჰაიანას ნაწერებში, ასევე მანუს კანონებშიც.[124] ვასიშთა ისწავლებოდა რიგვედას მიმდევრების მიერ, მას იხსენიებს მანუს კანონებიც, სავარაუდოდ უნდა დაწერილიყო ქრ.შ-მდე 300 წლიდან

[118]A Dharma Reader: A Classical Indian Law, 2016, 13.

[119]Lingat, 1973, 18.

[120]Banerji, 1999, 5.

[121]Olivelle, 2000, 4.

[122]იხ., Dharmasūtras: The Law Codes of Āpastamba, Gautama, Baudhāyana, and Vasiṣṭha, 1999, xxxi.

[123]Banerji, 1999, 24-26.

[124]იქვე, 25.

ქრ.შ-დან 100 წლამდე პერიოდში,[125] თუმცა მანუს კანონების შედგენამდე.[126] ვასიშთას მრავალი ნაწილი გაუტამასა და ბაუდჰაიანას ჰგავს. ტექსტის 25-ე-28-ე თავები, სხვებისგან განსხვავებით, მთლიანად ლექსთწყობითაა დაწერილი.[127] ვიშნუ-სმრიტი ღმერთ ვიშნუს მიაკუთვნებენ მისი ავტორი უცნობია. ვაიკჰანასა გვიანდელი ნაწარმოებია, მასში არ გამოიყენება ლექსთწყობა; ვაიკჰანასასა და მანუს კანონების გარკვეულ მონაკვეთებს შორის მსგავსების გამო არსებობს ვარაუდი, რომ მანუ-სმრიტმა ისარგებლა ვაიკჰანასას ადრეული ვერსიით ან ამ უკანასკნელმა გამოიყენა მანუს კანონების ტექსტი. ვაიკჰანასა მოიცავს პლანეტების ბერძნულ თანმიმდევრობას, შესაბამისად, მისი დაწერის თარიღი ქრ.შ.-დან მე-4 საუკუნეზე ადრეული ვერ იქნება.[128] იმის მიხედვით, თუ რამდენი სტროფია დაწერილი, ხოლო ამ სტროფებიდან რამდენია ციტირებული, მეცნიერები ვარაუდობენ დჰარმასუტრას ტექსტების დაწერის თანმიმდევრობას, კერძოდ, ჯერ იყო აპასტამბა, შემდეგ ბაუდჰაიანა და შემდეგ ვასიშთა.[129] აპასტამბა ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მეფის მოვალეობა, საქორწინო ქონება, სასამართლო პროცესი, დანაშაული და სასჯელი, ლევირატის წესი[130], ქორწინების საკითხი და სხვ.[131] დარმასუტრა, კერძოდ, ვისიშთა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ვალდებულებებს (დჰარმა), რომლებიც ეხება საზოგადოების ყველა წევრს, მაგალითად, სიმართლის თქმა, თავის შეკავება ცილისწამებისგან, შურისგან, ეგოიზმისგან, სიამაყისგან, უპატიოსნებისგან, საჩუქრის ჩუქების ვალდებულება, ცოცხალი არსებების არ

[125]Olivelle, 2000, 9.

[126]Banerji, 1999, 27.

[127]იქვე, 27.

[128]იქვე, 28-30

[129]Olivelle, 2000, 7.

[130]ჩვეულება, რომელიც კაცს საკუთარი ძმის ქვრივზე დაქორწინებას ავალდებულებდა. იხ., ხოფერია, 2012, 8.

[131]Olivelle, 2000, 21-23.

მოკვლა და სხვ.[132] აპასთამბა, გაუტამა, ვასიშთა და ვიშნუ მოიცავს სასამართლო პროცესის გარკვეულ წესებს, განავითარა მტკიცებულებათა წარდგენის წესები, თუმცა ნაკლებადაა ნახსენები მოწმეთა ინსტიტუტი.[133]

3.2. დჰარმაშასტრა

ტერმინი დჰარმაშასტრა პირველად გამოიყენა გრამატიკოსმა კატაიანამ, რომელიც მოღვაწეობდა ქრისტეს შობამდე გვიან მესამე და ადრეულ მეორე საუკუნეებს შორის პერიოდში.[134] ადრეულ პერიოდში შასტრასა და სუტრას მკაფიო ტერმინოლოგიური გამიჯვნა არ არსებობდა, დჰარმაშასტრა, როგორც ტერმინი, განსაკუთრებით გამოიყენებოდა მეტრიკული სმრიტის აღსანიშნავად, როგორც მანუს კანონებშია.[135] სუტრას პერიოდი დასრულდა შასტრას დაბადებით, რომლებიც სანსკრიტზე დაწერილი დიდაქტიკური ტრაქტატებია.[136] დჰარმასუტრასგან განსხვავებით, დჰარმაშასტრა ვედებიდან არ წარმოშობილა,[137] ის უპირველესად ეხებოდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებს.[138] ტრადიციულად ითვლება, რომ დჰარმაშასტრას 20 ავტორი ჰყავდა (თუმცა ამ ძირითადი ავტორების გარდა სავარაუდოდ სხვა მრავალი ავტორი არსებობდა),[139] იგი ეყრდნობა დჰარმასუტრას ტექსტებს და მოიცავს მრავალ ტექსტს, 18-დან 100-მდე.[140] დჰარმაშასტრას დჰარმას ნაკლებად აქვს კავშირი ვედებთან, ის არის ინდოეთის ადგილობრივი

[132]Sarma, 2016, 26.
[133]Freeman, 1959, 36.
[134]A Dharma Reader: A Classical Indian Law, 2016, 14.
[135]Olivelle, 2000, XVII.
[136]Lingat, 1973, 18.
[137]Banerji, 1999, 4, ასევე იხ., Olivelle P., 2013, 14.
[138]Kumar, Choudhury, 2021, 30.
[139]Banerji, 1999, 5.
[140]Kumar, Choudhury, 2021, 26.

ჯგუფების არსებული პრაქტიკის (ჩვეულებების) ტექსტის სახით გადმოცემა და ასევე იმ ტექსტების გააზრებაა, რომელთაც შესაძლებელია იურისპრუდენცია ეწოდოს.[141] დჰარმაშასტრას ტექსტები საკუთარ აზრსა თუ იდეას გადმოსცემს რამდენიმე კატეგორის ქვეშ, რომლებიცაა აკარა (პრაქტიკა, ჩვეულება), ვიავაჰარა (სასამართლო პროცესი), პრაიასჩიტა (მონანიება, ცოდვის გამოსყიდვა).[142] დარმაშასტრას ერთ-ერთი ტექსტია იაჯნავალკია-სმრიტი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დჰარმაშასტრას ტექსტებს შორის. აკარა (ჩვეულებები), ვიავაჰარა (საერო კანონი) და პრაიასჩიტა ამ ტექსტში ძალზე თანმიმდევრულად არის დამუშავებული.[143] იაჯნავალკიაში ვიავაჰარას, ანუ სასამართლო პროცესის შესახებ ტრაქტატს, ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა.[144] პარაშარა-სმრიტი, რომელიც 12 თავისგან შედგება, ეხება მხოლოდ აკარასა და პრაიასჩიტას.[145] პრაიასჩიტა არის მოძღვრება ცოდვების მონანიების შესახებ ისეთი ქმედებებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, დაქორწინებულ ადამიანებს შორის ღალატი.[146] ნარადა-სმრიტი არის ნაშრომი ვიავაჰარას შესახებ, რომელიც უნდა დაწერილიყო ქრ.შ.-დან 100-300 წლებს შორის. ეს ნაშრომი ორ, მოკლე და ვრცელ ვერსიებადაა შემონახული. ნარადა-სმრიტი ეხება სასამართლო პროცესს, საბჰასა და ქურდობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნარადა და მანუ მოიცავს 50 იდენტურ სტროფს, თუმცა მათ შორის არის განსხვავებაც, კერძოდ, კანონთა დასახელებებში, ასევე, მანუს კანონებისგან განსხვავებით, ნარადა საკითხებს მრავალ ქვეკატეგორიად ყოფს; ნარადას თანახმად, ქალს აქვს ხელახლა დაქორწინების

[141]Olivelle, 2010, 34.
[142]იხ., Lingat, 1973, 98-99.
[143]Banerji, 1999, 34-35.
[144]იქვე, 35; Olivelle, 2006, 187-188.
[145]Banerji, 1999, 35.
[146]Jamison, 2006, 195-196.

უფლება, მაშინ, როდესაც მანუს კანონები აღნიშნულს კრძალავს. მანუს კანონებით, აზარტული თამაში დაუშვებელია, ნარადა კი მას შემოსავლის წყაროდ მიიჩნევს და სახელმწიფოს კონტროლს უქვემდებარებს. თუ მანუს კანონები სექსუალურ კავშირს ასკეტ ქალებთან მსუბუქად უყურებს, ნარადა მას სერიოზულ ცოდვად მიიჩნევს. მანუს კანონები მონათა 7 კატეგორიას ასახელებს, ნარადა – 15-ს. ამ უკანასკნელში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სამართლებრივი პრინციპი, მაგალითად, პირი მიიჩნევა არასრულწლოვნად 16 წლის ასაკამდე. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ ტექსტს შორის ნარადა უფრო მეტად რაციონალურია.[147]

მანუს კანონები (მანუ-სმრიტი) ყველაზე ავტორიტეტული ტექსტია დჰარმაშასტრას ტექსტებს შორის.[148] როგორც დჰარმას წყარო, მანუს კანონები უპირატესია ყველა სმრიტის შორის და ვედას შემდეგ ყველაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება.[149] უძველესი კომენტატორები მანუ-სმრიტის ავტორიტეტისა და სანდოობის წარმოსაჩენად აღნიშნავდნენ, რომ მანუ იყო ადამიანი, რომელმაც კარგად იცოდა ვედას სხვადასხვა მიმართულება, ის იყო დიდებული ბრძენი, რომელიც იცნობდა მთლიან ვედას, მანუს უზენაესი სულის ინკარნაციადაც მოიხსენიებდნენ.[150]

მიუხედავად იმისა, რომ დჰარმაშასტრა ვედებიდან არ მომდინარეობს, მანუ თავიდანვე აღნიშნავს, რომ მისი ნაშრომი ეყრდნობა ვედას.[151] მანუს კანონებს უნიკალური სტრუქტურა აქვს, ძველი ტექსტებისგან განსხვავებით, მან შემოიტანა გარკვეული სიახლეები, მასში მიმდინარეობს თხრობა, დიალოგი იმართება ღვთაებრივ და ტრანსცენდენტულ არსებას, როგორც მასწავლებელსა და მსმე-

[147]Banerji, 1999, 37-38.

[148]იქვე, 32; Kumar, Choudhury, 2021, 30; Lingat, 1973, 77.

[149]Lingat, 1973, 77.

[150]Sacred Books of the East, 1886, XIV.

[151]A Dharma Reader: A Classical Indian Law, 2016, 75.

ნელებს შორის, რომლებსაც სწავლა სურთ. ასევე მასში ასახულია მეფის, სახელმწიფო ადმინისტრაციისა და სასამართლო პროცესის საკითხები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც კაუტილიას „პოლიტიკის ტრაქტატიდან“ მომდინარეობს.[152] დჰარმაშასტრას ტექსტებში ვარნების პრივილეგიებსა და მოვალეობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.[153] მანუს კანონები იცავდა ბრაჰმანებს და მათ პრივილეგიებს, მათ გამორჩეულობასა და ჰეგემონიას.[154] კრებულში ბრაჰმანებს პირველი ექვსი თავი ეთმობა და აღწერს საზოგადოებაში მათ გამორჩეულ და ცენტრალურ პოზიციას, მაშინ, როცა შემდეგი სამი თავი მეფის ვალდებულებისა და სასამართლო პროცესის საკითხებზეა.[155] მანუს კანონებმა განამტკიცა მეფის ღვთაებრივი უფლება მმართველობაზე.[156] მანუ-სმრიტი ეხება სასამართლოში დავის პროცესს,[157] რაც ადრეც იყო მოცემული დჰარმას შესახებ არსებულ აფორიზმულ ტექსტებში, იგი დეტალურად მიმოიხილავს აღნიშნულ საკითხს,[158] კერძოდ, შემუშავებულია მტკიცებულებათა შესახებ ყოვლისმომცველი კოდექსი, თუმცა სხვა პროცესუალური საკითხები მწირადაა წარმოდგენილი.[159] ქორწინებასთან დაკავშირებით მანუს კანონები აწესრიგებდა კასტისადმი მიკუთვნების საკითხს და განმარტავდა, რომ ერთი კასტის ქალისა და კაცის ქორწინებაში დაბადებული ბავშვი იმავე კასტას უნდა მიკუთვნებულიყო.[160] იგი ადგენდა კრიტერიუმებს იმისათვის, რომ შვილები იმავე კასტის წევრები ყოფილიყვნენ, რომელსაც მშობლები მიეკუთვნებოდნენ, კერძოდ:

[152]იქვე, 73.
[153]Kane, 1941, 59.
[154]Olivelle, 2018, 25.
[155]A Dharma Reader: A Classical Indian Law, 2016, 74.
[156]Freeman, 1959, 33.
[157]Olivelle, 2017, 25.
[158]A Dharma Reader: A Classical Indian Law, 2016, 74.
[159]Freeman, 1959, 36.
[160]Davis, 2022, 26.

მშობლები უნდა ყოფილიყვნენ ერთი და იმავე ვარნიდან; მშობლები უნდა ყოფილიყვნენ დაქორწინებული შესაბამისი ცერემონიის დაცვით; ცოლი არ უნდა ყოფილიყო მანამდე დაქორწინებული. ამ წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში შვილი დაბადებით (ჯატია) იმავე ვარნას მიეკუთვნებოდა, რომელსაც მშობლები.[161]

IV. შუა საუკუნეების ინდოეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებანი

შუა საუკუნეებში (მე-12 და მე-18 საუკუნეებს შორის[162]) ინდოეთის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრება, პოლიტიკურ ცხოვრებასთან შედარებით, გაცილებით ნელა იცვლებოდა.[163] ადრეულ შუა საუკუნეებში ინდოეთის საზოგადოებრივი ცვლილებებისთვის საფუძველს ეკონომიკური ვითარება ქმნიდა, კერძოდ, მიწიდან შემოსავლის გადაცემა როგორც საერო, ასევე რელიგიური ელემენტებისთვის, უამრავი ტრაქტატის საფუძველზე სოფლები, ფისკალური და ადმინისტრაციული იმუნიტეტით, გადაეცემოდა ჯერ სასულიერო პირებს, ხოლო შემდეგ – ვასალებსა და ოფიციალურ პირებს.[164] მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი ინდოეთში მიჩნეულია პროგრესისა და განვითარების ერად; ჩრდილოეთს მოგოლების იმპერია მართავდა, სამხრეთში ბიჯაპურისა და გოლკონდას სახელმწიფოებმა მიაღწიეს შინაგან სიმშვიდესა და კულტურულ განვითარებას. მოგოლების იმპერიამ ადმინისტრაციული სისტემის კონსოლიდაცია მოახერხა, მათ მეზობელ სახელმწიფოებთან ინდოეთის ურთიერთობების მოწესრიგებაში პოზიტიური როლი შეასრულეს.[165] შესა-

[161]იქვე, 27.

[162]ავტორთა ნაწილი VIII-XI საუკუნეების პერიოდსაც ინდოეთის შუა საუკუნეებს მიაკუთვნებს (ადრეული შუა საუკუნეები). Farooqui, 2011, XVIII.

[163]Chandra, 2007, 37,

[164]Sharma, 2003, 186.

[165]Chandra, 2007, 276.

ბამისად, შუა საუკუნეების ინდოეთის სუბკონტინენტზე ერთიანი სახელმწიფო არ არსებობდა.

ევროპული ფეოდალური საზოგადოების მსგავსი წყობა ინდოეთში არ არსებობდა, მაშინდელი ინდური საზოგადოება იზიარებდა ფეოდალური წყობის ელემენტებს. არ იყო გავრცელებული ვასალიტეტი, ბატონყმობა და მსგავსი ინსტიტუტები, თუმცა საზოგადოებაში დომინირებული პოზიცია ეკავა იმ ადამიანთა კლასს, რომელიც შემოსავალს იღებდა გლეხების მიერ მოწეული ნამატი მოსავლისგან, თვითონ კი მიწაზე არ მუშაობდნენ.[166] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით, მოგოლების იმპერიის ხანაში, ინდოეთის სუბკონტინენტი განიცდიდა მუსლიმი მმართველებისა და ისლამის გავლენას.[167]

VIII საუკუნეში ინდოეთის სუბკონტინენტზე ისლამი შემოვიდა და დამკვიდრდა თავდაპირველად რელიგიურ, შემდეგ კი სამხედრო ძალად, XI საუკუნისთვის კი პოლიტიკურ ძალადაც ჩამოყალიბდა.[168] დელის სასულთნო პირველი ისლამური სახელმწიფო იყო ინდოეთში, რომელიც შარიათის კანონების გავრცელებას ცდილობდა. სულთნები ვალდებულნი იყვნენ ულემთა აზრი გაეთვალისწინებინათ. ისინი პრაქტიკულად აბსოლუტური მმართველები იყვნენ – განაგებდნენ სახელმწიფოს ადმინისტრაციასა და არმიას, ევალებოდათ სახელმწიფოს დაცვა, კანონის აღსრულება, დავების მოგვარება, გადასახადების აკრეფა, ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ისლამის დაცვა; სულთნები ნიშნავდნენ მოსამართლეებს და ასრულებდნენ სააპელაციო სასამართლოს ფუნქციას.[169] თუმცა, იმავდროულად, დელის სულთნები თავს მიიჩნევდნენ ისლამური სამყაროს ნაწილად და აბასიანთა სახალიფოს ფორმალურ მორჩილებას უცხადებდნენ.[170]

[166]იქვე, 43.
[167]Chandra, 2004, 151-152.
[168]Farooqui, 2011, XVIII.
[169]იქვე, 97.
[170]იქვე, 96-97.

მუსლიმების მმართველობისას განათლების სისტემა ინდოეთში თანდათან ფორმალური გახდა, ყურანთან ერთად სწავლობდნენ ისლამურ იურისპრუნდენციასა და კანონს, ასევე არაბულ და სპარსულ ენებს.[171] მაგალითად, მოგოლთა იმპერატორმა ჯაჰანგირმა შემოიღო კანონი, რომლის თანახმადაც, თუ მდიდარი კაცი, ანდა მოგზაური გარდაიცვლებოდა მემკვიდრის გარეშე, მისი ქონება გვირგვინის (ანუ სახელმწიფოს) საკუთრება ხდებოდა მედრესეებისა და მონასტრების ასაშენებლად.[172]

მუსლიმურმა დაპყრობებმა ინდოეთისკენ მიგრაციის კორიდორი გახსნა. ჩრდილოეთ ინდოეთში დასახლდნენ არაბები, ცენტრალური და დასავლეთ აზიიდან მომავალი მიგრანტები, როგორებიც იყვნენ თურქები, ტაჯიკები, სპარსელები, ავღანელები და მონღოლები. ამ პროცესმა განაპირობა მეცნიერებისა და მოგზაურების ჩასვლაც, რასაც თან ახლდა იდეების გაცვლა და კულტურული ურთიერთობა ინდუსებსა და მუსლიმებს შორის.[173] ისლამის გავრცელებისა და მუსლიმი მმართველების არსებობის მიუხედავად, მოგვიანებით, ინდოეთის სუბკონტინენტის კოლონიზაციის დროსაც, ინდური საზოგადოება ცხოვრობდა დჰარმაშასტრას წესების თანახმად, რომელიც ყველა ინდუსისთვის სავალდებულო იყო.[174] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ინდოეთში განსხვავებული მდგომარეობა იყო, სამხრეთში ისლამი ძალადობრივად არ ვრცელდებოდა, ხშირი იყო შერეული ქორწინებები ინდუსებსა და მუსლიმ მმართველებს შორის. წარჩინებულთა კლასიც მუსლიმებისგან შედგებოდა, ძირითადად უცხოელებისგან (არაბები, თურქები, აბასინიანები), რომელთაც პარდესი (უცხოელი) ეწოდებოდათ.[175] შესაბამისად, ინდოეთის სუბკონტინენტზე, გარდა

[171]Farooq, 2017, 12-13.
[172]იქვე, 14.
[173]Anjum, 2007, 235.
[174]Rocher, 1993, 254.
[175]Gopal, 1994, 44-45.

დჰარმაშასტრასი, მოქმედებდა ისლამური სამართალი, ინდუსები მისდევდნენ საკუთარ კანონებსა და წეს-ჩვეულებებს, ხოლო მუსლიმები – ისლამურს.

V. შეჯამება

ძველი ინდოეთის სახელმწიფოსა და სამართლის ფორმირება რთული და მრავალგანზომილებიანი პროცესი იყო. ინდური სამართლი ყალიბდებოდა რელიგიური, ფილოსოფიური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტროების გავლენით. სამართალგანვითარების პროცესში ამ კატეგორიების ორგანულმა ერთიანობამ განაპირობა უნიკალური სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება. ძველინდური სახელმწიფო და სამართალი ხასიათდებოდა შემდეგი ძირითადი თავისებურებებით:

ინდის დაბლობზე ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე არიელების შემოსვლის შემდეგ შეიქმნა ვედური ლიტერატურა. არიელების შემოსვლას უკავშირდება ინდური საზოგადოების ვარნებად დაყოფა ქრისტეს შობამდე 800-600 წლებს შორის პერიოდში. ვედური ლიტერატურა განამტკიცებდა ვარნების შენარჩუნებას. ვარნები და კასტები ადამიანთა ერთობებია. ვარნული სისტემის ჩამოყალიბებამდე ვედური საზოგადოება კულტურისა და რასის მიხედვით არიელებად და მათ მოწინააღმდეგე დასიუსებას (დასებად) იყოფოდა. შემდეგ ჩამოყალიბდა ოთხი ვარნა: ბრაჰმანი, ქშატრია, ვაიშა და შუდრა. მოგვიანებით ვარნები ქვეკატეგორიებად დაიყო, რომელთაც კასტები ეწოდებოდა. კასტურ სისტემას კი დღევანდელ ინდოეთშიც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პოლიტიკაზე, სოციალურ და კულტურულ სფეროებზე;

ინდოეთში მოგვიანებით ყალიბდება სახელმწიფო და შესაბამისად ტრაქტატები სახელმწიფო მმართველობის შესახებ. გამოირჩევა ექვსი მთავარი ეტაპი: 1. ტომობრივი სამხედრო დემოკრა-

ტია; 2. ტომობრივი სისტემის რღვევით ყალიბდება კლასობრივი საზოგადოება; 3. სახელმწიფოს სრული ფორმირება მონარქიებისა და ტომობრივი ოლიგარქიების სახით; 4. მაურიების იმპერია; 5. დეცენტრალიზაცია; 6. წინარე-ფეოდალური პოლიტიკური მოწყობის ეტაპი. სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია იყო სოფლის მეურნეობაში დახმარება, ვაჭრობის განვითარება, შიმშილისა და ეპიდემიისგან დაცვა, ლიტერატურისა და მეცნიერების ხელშეწყობა. მეფის ხელისუფლება იქმნება კერძო საკუთრებისა და ოჯახის დაცვის მიზნით, სადამსჯელო ღონისძიებების გასატარებლად. მისი მოვალეობა იყო სახელმწიფოს დაცვა შიდა და გარე მტრებისგან;

ინდოეთის სუბკონტინენტი არ იყო ერთიანი, ერთფეროვანი კულტურის ადგილი, იქ მრავალი კულტურა, მრავალი რელიგია და სხვადასხვა სახელმწიფო მმართველობის ფორმა არსებობდა;

ძველინდური სამართლებრივი და ფილოსოფიური მოძღვრება მორალური, ეთიკური და პოლიტიკური პრინციპების კრებული იყო და მართლმსაჯულებისა და ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებს ეხებოდა. ძველინდური სამართლებრივი და ფილოსოფიური მოძღვრების საფუძვლები უძველეს წმინდა წიგნებში, ვედებშია თავმოყრილი. ვედები განსაზღვრავდა ადამიანის ცხოვრებას დედამიწაზე, ურთიერთობას ღმერთებსა და მატერიალურ სამყაროსთან. ვედური ტრადიციის საფუძველზე ჩამოყალიბდა ადამიანის ცხოვრების ოთხი უმთავრესი მიზანი (პურუშართა). ვედებთან ერთად ძველინდური სამართლის წყაროების შესასწავლისთვის მნიშვნელოვანია მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორიცაა, „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“;

ვედების საფუძველზე და ვედების სწავლებისთვის ინდოეთში შეადგინეს „დჰარმასუტრა“, აფორიზმული ტექსტების ერთობლიობა, რომლებიც ქცევის წესებს, სამართლებრივ საკითხებსა და სამეფო მოვალეობებს ეხებოდა. დჰარმასუტრა იყოფა ორ, მთავარ

და მცირე კლასებად. მთავარი კლასის „დჰარმასუტრა“ მოიცავს ტექსტებს, რომლებიც ეხება მეფის მოვალეობას, საქორწინო ქონებას, სასამართლო პროცესს, დანაშაულსა და სასჯელს, ლევირატის წესი, ქორწინების საკითხებს, საყოველთაო მორალურ წესებს, როგორიცაა, სიმართლის თქმა, შურის, ცილისწამების, სიამაყის, უპატიოსნების აკრძალვა. მცირე ნაწილი მოცემულია ასევე ტექსტების სახით, თუმცა ის არის კომენტარები მთავარი ნაწილის შესახებ;

„დჰარმაშასტრა“ არის ტექსტების ერთობლიობა, რომლებიც დჰარმას მეცნიერებას ეხებოდა. დჰარმა, აღნიშნავს მსოფლიო, უნივერსალურ სამართლებრივ, მორალურ და რელიგიურ წესს, რომლითაც იმართება ადამიანის ცხოვრების როგორც წმინდა, ასევე ყოფითი ასპექტები, დჰარმაში გამოიხატება ღმერთის ბრძანება ადამიანთა ყოფიერების შესახებ, რაც განსახიერებულია მორალურ კანონებში; დჰარმას დანაწესებს თითოეული ადამიანი თავისი სოციალური სტატუსისა და როლის შესაბამისად უნდა მისდევდეს. დჰარმა არ არის მხოლოდ რელიგიური ტერმინი, არამედ მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს, ის ქცევის კოდექსია: ასწავლის როგორც რელიგიურ, ასევე სეკულარულ საკითხებს.

„დჰარმაშასტრა“ დჰარმას სამ წყაროს ასახელებს: ვედას, ტრადიციასა და „კარგ ჩვეულებას“. „კარგი ჩვეულება“ („აჩარა“), როგორც დჰარმას წყარო გულისხმობს იმას, თუ როგორ ცხოვრობს „კეთილგონიერი ადამიანი“ („სად-აჩარა“ – კეთილთა ჩვეულება და „სისტა-აჩარა“ – განათლებულთა ჩვეულება). „აჩარა“ არ არის ჩვეულება კლასიკური გაგებით, რომელიც ხანგრძლივი გამოყენებით დამკვიდრებული პრაქტიკაა, არამედ რელიგიური ცხოვრების წესი, რომელსაც იცავენ ღრმად განსწავლული და კეთილგონიერი ადამიანები. თავის მხრივ, საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის წესები, ჩვეულებები, გამოიყენებოდა სამართლის წყაროდ, თუმცა არა დჰარმას წყაროდ;

როგორც დჰარმას წყარო, მანუს კანონები (მანუ-სმრიტი) უპირატესია ყველა სმრიტს შორის და ვედას შემდეგ ყველაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება. მანუს კანონებში ასახული მეფის, სახელმწიფო ადმინისტრაციისა და სასამართლო პროცესის საკითხები. მანუს კანონები იცავდა ბრაჰმანებსა და მათ პრივილეგიებს, მათ გამორჩეულობასა და ჰეგემონიას და განამტკიცებდა მეფის ღვთაებრივ უფლებას მმართველობაზე. კანონებმა სასამართლო პროცესისთვის შეიმუშავა მტკიცებულებათა შესახებ ყოვლისმომცველი კოდექსი. ის განსხვავებულად უდგება დჰარმაშასტრას სხვა ტექსტებით მოწესრიგებულ საკითხებს;

ძველი ინდური სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა „ართჰაშასტრა“ – საერო ლიტერატურა, სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის ხელოვნების შესახებ ტრაქტატი. დღემდე მოღწეული ყველაზე მნიშვნელოვანი ასეთი ტექსტი კაუტილიას ართჰაშასტრაა. ტრაქტატი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველი ეხება მეფისა და სამეფოს შიდა ადმინისტრაციულ საკითხებს, ხოლო მეორე საგარეო ურთიერთობებს, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის პოლიტიკასა და ომს. კაუტილიას ართჰაშასტრა მოიცავს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საკითხებს. ტრაქტატი მართლმსაჯულების ყოვლისმომცველ სისტემას აყალიბებს;

შუა საუკუნეებში ინდოეთის სუბკონტინენტზე იწყება ისლამის გავრცელება და მუსლიმი მიგრანტების გადასახლება, რომელთაც ინდოეთში საკუთარი კულტურა შეიტანეს. აღსანიშნავია, რომ განსხვავებული ვითარება იყო ინდოეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის. ისლამი სამხრეთში უფრო მსუბუქად ვრცელდება, ვიდრე ჩრდილოეთში. ამ პერიოდში იქმნება მედრესეები, ისლამური სკოლები, რომლებშიც ისწავლებოდა შარიათის კანონები და ისლამური იურისპრუდენცია. შუა საუკუნეებში ინდოეთის

სუბკონტინენტზე არაერთი სამართლებრივი სისტემა მოქმედებდა: ინდუსებისთვის კვლავ მნიშვნელოვანი იყო დჰარმას წესები, ხოლო მუსლიმი მოსახლეობისთვის მოქმედებდა ისლამური სამართალი.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ანდრონიკაშვილი მ., ძველი ინდოეთი, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გრ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 1990
- გარიშვილი მ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, ლექციების კურსი, თბილისი, 2010
- გარიშვილი მ., ხოფერია მ., საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, თბილისი, 2014
- გომბრიხი ე., მსოფლიოს მოკლე ისტორია, თბილისი, ნ. გოგოლაშვილის თარგმანი, 2022
- უპანიშადები, ლ. ალიმონაკის თარგმანი, თბილისი, 2021
- ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გრ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 1990
- ხოფერია მ., სამართლის ისტორიის ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 2012
- A Dharma Reader: A Classical Indian Law, Translated and Edited by P. Olivelle, New York, 2016
- Aktor M., Social Classes: Varna, in: Oxford History of Hinduism: Hindu Law: A New History of Dharmaśāstra, Edited by P. Olivelle, D.R. Davis, Oxford University Press, 2018
- Altekar A. S., State and Government in Ancient India, Delhi, 2001
- Altekar A. S. State and Government in Ancient India from Earliest Times to c. 1200 A.D., Nawa Bharat Press, Banaras, 1949
- Altekar A. S., The Planned State in Ancient India, Proceedings of the Indian History Congress, Vol. 18, 1955
- Anand A., A Historical Analysis of Influence of the Indian Caste System, International Journal of Advanced Multidisciplinary Scientific Research, Vol. 3, No. 7, 2020
- Anjum T., The Emergence of Muslim Rule in India: Some Historical Disconnects and Missing Links, Islamic Studies, Vol. 46, No. 2, 2007
- Banerji S. C., A Brief History of Dharmaśāstra, New Delhi, 1999

- Bibave R. N., Principle of Law in Ramayana – Possession, Vishwakarma University Law Journal, Vol. 2, No. 2, 2022
- Blunt E. A. H., Caste System of the Northern India, Delhi, 2010
- Brereton J. P., Jamison S. W., The Rigveda: A Guide, Oxford University Press, 2020
- Chandra S., Historiography, Religion and State in Medieval India, Third Reprint, Delhi, 2004
- Chandra S., History of Medieval India, Delhi, 2007
- Chakravarti U., Conceptualising Brahmanical Patriarchy in Early India: Gender, Caste, Class and State, Economic and Political Weekly, Vol. 28, No. 14, 1993
- Davis R. D. Jr., Being Hindu or Being Human: A Reappraisal of the Puruṣārthas, International Journal of Hindu Studies, Vol. 8, No. 1/3, 2004
- Davis D. R. Jr., Seeing through the Law: A Debate on Caste in Medieval Dharmasastra, Contributions to Indian Sociology, Vol. 56, No. 1, 2022
- Deshpande M., History of the Indian Caste System and its Impact on India Today, advised by H. Kerbo, California Polytechnic State University, 2010
- Dharmasūtras: The Law Codes of Āpastamba, Gautama, Baudhāyana, and Vasiṣṭha, translated and edited by P. Olivelle, Oxford University Press, 1999
- Donald R. D, Jr., A Historical Overview of Hindu Law, in: Hinduism and Law: An Introduction, Edited by Lubin T., Davis D. R. Jr., Krishnan J. K., Cambridge University Press, 2010
- Farooq M. A., Hussain M., A Brief Survey of Muslim Education in Pre-Colonial India (1206-1857), Journal of Social Sciences and Humanities Research, Vol. 5, No. 2, 2017
- Farooqui S. A., A Comprehensive History of Medieval India: From the Twelfth to the Mid-Eighteenth Century, Longman, 2011
- Fisher M., An Environmental History of India, From the Earliest Times to the Twenty-First-Century, New Approaches in Asian History Series, Cambridge and New York: Cambridge University Press, 2018
- Freeman H.A., An Introduction to Hindu Jurisprudence, The American Journal of Comparative Law, Vol. 8, No. 1, 1959
- Gopal R., Hindu Culture During and After Muslim Rule, New Delhi, 1994
- Gupta D., From Varna to Jati: The Indian caste system, from the Asiatic to the feudal mode of production, Journal of Contemporary Asia, Vol. 10, No. 3, 1980

- Horsch P., From Creation Myth to World Law: The Early History of Dharma, Translated By J. L. Whitaker, Journal of Indian Philosophy, Vol. 32, No. 5/6, 2004
- Jaiswal H., Prehistoric Indian Literature and International Law: A Brief Analysis, იხ., <https://www.legalserviceindia.com/legal/article-7381-prehistoric-indian-literature-and-international-law-a-brief-analysis.html> [30.07.2025]
- Jamison S.W., Witzel M., Vedic Hinduism, in: The Study of Hinduism, Edited by A. Sharma, Columbia, 2003
- Kane P. V. History of The Dharma Sastra, Vol. 2, Poona, 1941
- King M.S., Natural Law and the Bhagavad-Gita: The Vedic Concept of Natural Law, Ratio Juris, Vol. 16, No. 3, 2003
- King, Governance, and Law in Ancient India: Kautilya's Arthasastra, Translated by P. Olivelle, Oxford University Press, 2013
- Kumar S., Choudhury S., Decoding the Elements of Human Rights from the Verses of Ancient Védic Literature and Dharmasastras, Literature, Vol. 1, No. 1, 2021
- Lingat R., The Classical Law of India, translated by J. Duncan and M. Derrett, London, 1973
- Lubin T., Davis D.R. Jr., Krishnan J.K., Hinduism and Law: An Introduction, Cambridge University Press, 2010
- Majumdar R. C., Ancient India, Delhi, 2018
- Menski W., Sanskrit Law: Excavating Vedic Legal Pluralism, SOAS School of Law Research Paper, No. 5, 2010
- Muniapan B., Dass M., Corporate Social Responsibility: A Philosophical Approach from an Ancient Indian Perspective, International Journal of Indian Culture and Business Management, Vol. 1, No. 4, 2008
- Olivelle P., Dharmasastra: A Textual History, in: Hinduism and Law: An Introduction, Edited by Lubin T., Davis D. R. Jr., Krishnan J. K., Cambridge University Press, 2010
- Olivelle P., Dharmasutras: The Law Codes of Apastamba, Gautama, Baudhayana and Vasistha, Delhi, 2000
- Olivelle P., Exploration in the Early History of the Dharmasastra, in: Between the Empires: Society in India 300 BCE to 400 CE, Edited by P. Olivelle, Oxford University Press, 2006

- Olivelle P., Social and Literary History of Dharmaśāstra: The Foundational Texts, in: Oxford History of Hinduism: Hindu Law: A New History of Dharmaśāstra, Edited by P. Olivelle, D.R. Davis, Oxford University Press, 2017
- Olivelle P., Definitions and Epistemologies of dharma in Classical Brahmanism, In: INDAS International Conference 2013 "In Search of Well-being: Genealogies of Religion and Politics in India", 2013
- Olivelle P., The Dharmasutras: The Law Codes of Ancient India, Oxford University Press, 1999
- Parmar H., Valmiki's Vision of Dharma in the Ramayana, in: Critical Perspective on the Ramayana, Edited by J. K. Dodiya, New Delhi, 2001
- Ramesh K., Caste System and Political Change in Indian Democracy – A Study, International Journal of Creative Research Thoughts, Vol. 8, No. 11, 2020
- Rocher L., Law Books in an Oral Culture: The Indian "Dharmaśāstras", Proceedings of the American Philosophical Society, Vol. 137, No. 2, 1993
- Sacred Books of the East, Editted by F.M. Muller, Vol. XXV, Oxford, 1886
- Sarma N., The Visistha Dharma-Sutra: A Socio-Cultural Study, Ph.D. Registration. No. – Ph.D./1803/2012, Assam University, 2016
- Sen-Gupta N. C., Evolution of Ancient Indian Law, London, 1953
- Sharma R. K., Indian Society, Institutions and Change, Delhi, 2004
- Sharma R. S., Early Medieval Indian Society: A Study in Feudalisation, Orient Longman, 2003
- Shastri J.L., Political Thought in Puranas, Lahore, 1944
- Sihag B. S., Kautilya on Administration of Justice During the Fourth Century B.C., Journal of the History of Economic Thought, Vol. 29, No. 3, 2007
- Singh H., Boyat S.R., A Study of State and Society in Ancient India the Views of V.S. Smith, Journal of Advances and Scholarly Researches in Allied Education, Vol. 12, No. 23, 2016
- Singh K.S, Varna, Jati and Jana: An Anthropo-Historical Perspective, Proceedings of the Indian History Congress, Vol. 44, 1983
- Sundaram M.S., The Natural Law in the Hindu Tradition, Natural Law Institute Proceedings, Vol. 5, 1953
- The Laws of Manu, Translated by G. Bühler, Edited by F. Max Müller, Oxford, 1886
- West B.A., Encyclopedia of the People of Asia and Oceania, New-York, 2009

THE FORMATION OF STATE AND LEGAL SYSTEMS IN ANCIENT INDIA

SANDRO-GIORGI SARUKHANISHVILI

Ph.D. Candidate at Sulkhan-Saba Orbeliani University

https://orcid.org/0000-0001-5753-1898

MARIAM GORGODZE

Ph.D. Candidate at Sulkhan-Saba Orbeliani University

https://orcid.org/0009-0006-6674-2172

Abstract

This article examines the development of state structures and legal systems in ancient India, tracing their evolution from the Vedic period through the medieval era. The study analyzes the distinctive characteristics of ancient Indian jurisprudence, which emerged at the intersection of religious, philosophical, and political principles. Central to this analysis is the varna-caste system, which structured social relations and determined differentiated legal statuses, obligations, and forms of liability across social categories.

The research explores the primary sources of ancient Indian law, including Vedic literature, dharmasūtra texts, dharmaśāstra treatises, and the Laws of Manu (Manusmṛti). Particular attention is devoted to the concept of dharma as a universal legal, moral, and religious order governing all aspects of human existence. The article demonstrates

how dharma established normative frameworks encompassing civil, criminal, and procedural law. The study also examines secular juridical literature, notably Kautilya's Arthaśāstra, which complemented religious legal sources with theories of statecraft and administration.

The article addresses the transformation of Indian legal culture during the medieval period, when Islamic conquests introduced legal pluralism through the coexistence of dharmaśāstra and Sharia law, revealing significant regional variations between northern and southern India.

By synthesizing religious texts, epic literature (Mahābhārata and Rāmāyaṇa), and juridical treatises, this study illuminates how ancient Indian jurisprudence developed legal mechanisms within a framework that merged temporal and spiritual authority, continuing to influence contemporary Indian legal traditions.

Keywords: Ancient Indian Law, History of Indian law, Dharmaśāstra; Varna System, Manusmṛti, Vedic Jurisprudence, Arthaśāstra.